



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა) იპ ქალაქ თბილისის 101 საბავშვო ბაგა-ბაღი

(დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საფირმო სახელწოდება)

(პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში))

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: **მარინა გოგოლაძე**

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: **ეკატერინე კობახიძე**

კვების დარგში ექსპერტი: **მარინე ზაზაშვილი**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: **გელა გელაშვილი**

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა) იპ ქ. თბილისის 101 საბავშვო ბაგა-ბაღი
საიდენტიფიკაციო ნომერი	400269035
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ქალაქი თბილისი, გლდანი VI მ/რ, კორპ.N7-ის მიმდებარედ
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ქალაქი თბილისი, გლდანი VI მ/რ, კორპ.N7-ის მიმდებარედ

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	modebadzekristi@gmail.com	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება MES 1 26 0000075420, 27/01/2026 წელი	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19-20 თებერვალი, 2026 წელი	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.		

N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	„2-3 წლიანი, 3-4 წლიანი, ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ და 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში ადრეული კურიკულუმის „თამაში პრაქტიკული სახელმძღვანელო/ სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“, „სასკოლო მზაობის პროგრამა- თამაში სწავლისა და განვითარებისთვის“; „ხელოვნების მეშვეობით გაჯანსაღებისა და განათლების(HEART) პროგრამა“- კურიკულუმი.	ქართული		319 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> არ ეთანხმება <input type="checkbox"/>

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მამიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2026 წლის 19-20 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ა(ა)იპ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღში მისამართზე - ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მე-6 მ/რ. მე-7 კორპუსის მიმდებარედ.

ა(ა)იპ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობა აშენდა 2019 წელს, 2020 წელს ჩაბარდა, მაგრამ დაწესებულების დირექტორის განმარტებით, კოვიდის გამო, ვერ გაიხსნა 2020 წ. და ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა- ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო 2021 წლის 12 ოქტომბერს.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარს და გადმოგზავნილ დოკუმენტაციას. ექსპერტების მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი დოკუმენტები, რომლის გაცნობაც მოხდა ადგილზე ვიზიტის დროს. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან, კეთილგანწყობილ და მშვიდ ვითარებაში. გავცანიით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას - დანართი №2 - 4.4 კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვართან მიმართებაში. ვიზიტის ფარგლებში თითოეულმა ექსპერტმა, თავისი მიმართულებების მიხედვით, იმუშავა დასკვნის მომზადებისთვის კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად. ადგილზე შესწავლილ იქნა სტანდარტის კომპონენტებით (დანართი/ჩეკლისტები 4.3; 4.4. და 4.5), განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი. შედგა შეხვედრა დაწესებულების მმართველ გუნდთან და მიზნობრივი გასაუბრებები/ინტერვიუება დაწესებულების წარმომადგენლებთან. დაათვალიერებულ იქნა შენობა-ნაგებობა, შიდა სივრცე, ჯგუფური ოთახები, ეზოს გარე სივრცე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შევსებულ იქნა 1, მე-2 და მე-3 დანართების მიხედვით შესაბამისობის შეფასების კითხვარი. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი. დაწესებულებას, ექსპერტების მიერ, მიმართულებების მიხედვით, მიეწოდა ინფორმაცია ვიზიტის მიგნებების შესახებ. საბავშვო ბაგა-ბაღის გუნდი იყო ერთსულოვანი, მაღალი მოტივაციის, დირექტორი და მისი გუნდი მზად არიან ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვისათვის.

დაწესებულების ძლიერ მხარედ შესაძლოა დასახელდეს: თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ბავშვზე მორგებული გარემო, მოტივირებული ადამიანური რესურსი, მათთან თანამშრომლობითი ურთიერთობა. ხოლო გასაუმჯობესებელ მხარედ - ავტორიზაციის ეროვნული სტანდარტების სრულფასოვანი იმპლემენტაციისათვის შიდა რეგულაციების სრულყოფისა და თანხვედრის საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების ხელმძღვანელობასა და პერსონალს, ვიზიტის ფარგლებში, კეთილგანწყობილი სამუშაო გარემოს შექმნისა და საქმიანი თანამშრომლობითი ურთიერთობის მზაობისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის წევრთათვის მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების დირექტორისა და სამუშაო ჯგუფის წევრთა ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის/მტკიცებულებების მოთხოვნისას, ყველა დოკუმენტის მიმართ შინაარსობრივი გააზრება და მყისიერი რეაგირება.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“		
2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

4.3. მატერიალური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

- 1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება, შემუშავებული მისიით, იღებს ვალდებულებას, რომ შექმნას გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვები, სადაც აღიარებული და დაცულია მათი უფლებები, შესაძლებლობები და ინტერესები, უზრუნველყოფილი იქნება მათი, როგორც დამოუკიდებელი პიროვნებისა და საგანმანათლებლო პროცესის მონაწილის პატივისცემა. მისია შემდეგნაირად ჟღერს - დაწესებულების მისიაა შევქმნათ გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვები. სადაც აღიარებული და დაცულია მათი უფლებები, შესაძლებლობები და ინტერესები. ამავე დროს, აღიარებენ და პატივს სცემენ ბავშვს, როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას და საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეს.“

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს. მისიაში მკაფიოდ არის ხაზგასმული ბავშვის დამოუკიდებლობის, შემოქმედებითი და ცხოვრებისეული უნარების განვითარების ხელშეწყობა, მათი ინტერესების დაცვა და პატივისცემა, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და დამოუკიდებლობის აღიარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ მისია გადმოცემული იქნას ზმნის ნაცვლად სახელზმნით მაგ. „შექმნათ გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვები. სადაც აღიარებული და დაცულია მათი უფლებები, შესაძლებლობები“-ს ნაცვლად „ისეთი გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება ბავშვების უფლებები, შესაძლებლობები....“ ან/და „ბავშვებისათვის საყვარელი გარემოს შექმნა“ და ა.შ.
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს მისიის ტექსტის ენობრივი გამართულობა, კორექტული ხარვეზის აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს უკეთ გააზრებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად გამომდინარეობს მისიიდან და შესაძლებელია მისიის ძირითად აქცენტების ეფექტიანად განვითარება, წარმოადგენს ინდივიდუალურ და შემოქმედებით პროცესს, დამოუკიდებლობას, თანასწორობას და ურთიერთპატივისცემას. რაც კარგად ჩანს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის“ ოქმით (№28; 03.02.2025 წ.).

დაწესებულების ხედვაა:

- ✓ უახლოეს ხუთ წელიწადში საგანმანათლებლო სფეროს გაძლიერება;
- ✓ უნივერსალური დიზაინის პრინციპით, საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება;
- ✓ მშობელთა/თემის ჩართულობით კურიკულუმის შესაბამისი გარე სივრცის მოწყობა;
- ✓ ბავშვზე ძალადობის პრევენციის ხელიშემწყობი პოლიტიკის გაძლიერება;
- ✓ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება დაწესებულების ღირებულებების;
- ✓ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

დაწესებულების ღირებულებებია:

- ✓ კეთილგანწყობილი გარემო, ინკლუზიურობა და გუნდურობა;
- ✓ ვაფასებთ დაწესებულებაში თითოეულ ინდივიდის ძლიერ მხარეებს, ინტერესებს, ვუზრუნველვყოფტ, რომ ყველა გრძნობდეს თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თანასწორად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ ღირებულებები, კერძოდ: „ვაფასებთ დაწესებულებაში თითოეულ ინდივიდის ძლიერ მხარეებს, ინტერესებს, ვუზრუნველვყოფთ, რომ ყველა გრძნობდეს თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თანასწორად“ დააკორექტიროს იმგვარად, რომ გამოიკვეთოს პრინციპები, როგორ აღწევს იმას, რაც მისიითაა გაცხადებული. ჩამოაყალიბოს ის, რაც საბავშვო ბაგა-ბაღისთვის მნიშვნელოვანია, რაც უკვე შექმნილი აქვთ და არა ის, რასაც შექმნის, რომელსაც ეყრდნობა დაწესებულება. მაგ. - **კეთილგანწყობილი გარემო, ინკლუზიურობა და გუნდურობა, თანასწორობის დაცულობა და სხვა.**

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავება გამოიკვეთა ა(ა)იპ თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ წარმოდგენილი „ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის“ ოქმით (№1; 01.09.2025 წ.), რომელსაც მტკიცებულების სახით ახლავს შეხვედრის ფოტო-მასალა. სხდომაზე, სამუშაო ჯგუფის ჩართულობით, შემუშავებულ იქნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი. სამუშაო ჯგუფი შექმნილია დირექტორის ბრძანებით (№03/031; 01/09/2025 წ.), ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ, „სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების წესში“, მე-7

მუხლის 1 პუნქტის დაცვით, ასევე, მე-2 და მე-7 პუნქტების გათვალისწინებით. შეხვედრის ოქმში აღწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი, სადაც იკვეთება, რომ დაწესებულების დირექციამ განიხილა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც დადასტურდა ინტერვიუებითაც. სხდომაზე განიხილეს შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების რამდენიმე ვარიანტი. შეხვედრაზე შერჩეული იქნა საბოლოო ვარიანტი. მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავებისა და გაზიარების პროცესი აღწერილია „სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების წესში“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№03/033; 04.09.2025 წ.).

დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ იმუშავეს ინტერაქციულად და შეთანხმდნენ საბოლოო ვერსიებზე. რაც დასტურდება „ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის“ ოქმით (№1; 01.09.2025 წ.), „სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს მე-8 მუხლის შესაბამისად.

დოკუმენტში მოცემულია ჯგუფის წევრთა ჩამონათვალი/სია, სადაც პოზიციებთან ერთად გათვალისწინებულია სახელები და გვარები. საგულისხმოა, რომ ჯგუფის ერთი (ნებისმიერი) ან რამდენიმე წევრის შეცვლა გამოიწვევს ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას.

ბრძანებაში განსაზღვრული არ არის ჯგუფის წევრთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და შესრულების ვადები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულების დირექტორის ბრძანებაში განისაზღვროს ჯგუფის წევრთა პოზიცია/პოზიციები, ერთი ან რამდენიმე წევრის ცვლილების შემთხვევაში, ბრძანებაში აუცილებელი ცვლილებების შეტანის თავიდან აცილების მიზნით, რითაც დაცული იქნება პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ან/და მოახდინოს სახელებისა და გვარების მარკირება;
- ✓ დაწესებულებამ გამოცემული ინდივიდუალური აქტები/ბრძანებები/ოქმები მოიყვანოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებასთან (№414 1999 წლის 1 ივლისი, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქმისწარმოების ერთიანი წესები“ თავი I მმართველობითი დოკუმენტების მომზადება კარი მე-2 თავი 1, მუხლი 17. ბრძანება 1. და მუხლი 20. ოქმი) შესაბამისობაში;

✓ დაწესებულებამ ბრძანებებაში (№03/031; 01/09/2025 წ.) განსაზღვროს თავმჯდომარე და ჯგუფის წევრთა ვალდებულებები/ პასუხისმგებლობები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ საბავშვო ბაღის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების და საჯაროობის მექანიზმები განსაზღვრულია „ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის“ ოქმით (№1; 01.09.2025 წ.), რომელსაც ახლავს შეხვედრის ფოტო-მასალა. მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია შენობის თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. დოკუმენტი, ასევე, გაზიარებულია სოციალური ქსელის მეშვეობით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ელექტრონული ფოსტისა და Facebook გვერდის საშუალებით ხდებოდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებული პროექტის გაზიარება, ასევე, უკუკავშირის მიღება და საბოლოო ვარიანტი განთავსდა თვალსაჩინო ადგილზე, რაც დადასტურებული იქნა ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა/პირთა მაქსიმალურ ინფორმირებასა და ჩართულობას, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობისა და საჯაროობის ზრდას.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტები უზრუნველყოფს ბაღის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. მისია, ხედვა, ღირებულებების ფოტო განთავსებული დაწესებულების სივრცეში;
3. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
4. ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის ოქმი N1; 01 სექტემბერი, 2025 წელი, დაწესებულების მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებების გაცნობის შესახებ დაინტერესებული პირებისთვის;
5. დაწესებულების დირექტორის ბრძანება (№03/033; 04.09.2025 წ.) სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;
6. დირექტორის ბრძანება №03/031; 01/09/2025 წ.;
7. ოქმი N1; 04.09.2025 წ. თანამშრომლებთან შეხვედრა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე;
8. ოქმი N2; 05.09.2025 წ. მისიის, ხედვისა და ღირებულებების თანამშრომლებზე გაცნობა, თანდართული ფოტო-მასალით;
9. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ ქ.თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (№03/033; 04.09.2025 წ.), სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე, მე-3 მუხლის თანახმად, პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ა(ა)იპ ქ.თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი. აღნიშნული დოკუმენტი ჩაშლილია მუხლობრივად და ერთ-ერთია - მე-10 მუხლი, რომელშიც კონკრეტულადაა წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტს, დოკუმენტი სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართია და განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შინაარსში მოცემულია: ზოგადი დებულებები; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; პროცესში ჩართული მხარეები, სტრატეგიული განვითარების პრინციპები; დოკუმენტების გაზიარება; მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების/გაზიარების/დამტკიცების პროცესი; სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; სამოქმედო გეგმა; მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება; სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი; სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შეფასება.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ. ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე - არაუგვიანეს 4 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება სიტუაციური ანალიზით (არსებული მდგომარეობის შეფასებით). პროცესი ანალიზდება შიდა და გარე წყაროების შესაბამისად.

შიდა წყაროები: თვითშეფასება; სტატისტიკური მონაცემების ანალიზი (ბაღში ჩარიცხვა-ამორიცხვა, კადრების დენადობის სიხშირე, პერსონალის შეფასების შედეგები და ა.შ.);

გარე წყაროები: საკანონმდებლო ცვლილებები;

საბავშვო ბაგა-ბაღი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს **SWOT** მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს ბაღის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას.

ჩატარებული ანალიზის შედეგად მუშავდება სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც შედგება სტრატეგიული მიზნებისგან და ითვალისწინებს ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს.

შესაბამისი დასაბუთების საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიულ გეგმაში შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები/კორექტირება.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნაწილში იკვეთება N101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის წარმომადგენლების, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა საკონსულტაციო საბჭოების საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობა, რაც ხელს შეუწყობს მშობლის ჩართულობას ბაგა-ბაღის მუშაობაში. საკონსულტაციო საბჭოს არჩევის წესი, ფუნქციის/ვალდებულებები/პასუხისმგებლობის გათვალისწინებული დაწესებულების წესდების მე-5 მუხლით. ნიშანდობლივია, რომ დაწესებულების წესდების შემუშავება ხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ და ამტკიცებს საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი. წესდების მიხედვით საკონსულტაციო საბჭოს ჰყავს 7 წევრი - 5 მშობელი და 2 აღმზრდელი-პედაგოგი (დაწესებულებას პოზიცია - აღმზრდელი-პედაგოგი გათვალისწინებული არ ჰყავს ორგანოგრამით, „საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს განკარგულებით №25.2418.2699 08.01.2025 წ. შესაბამისად გამოცემულია დირექტორის ბრძანება №03/071; 24.10.2025 წ. „ახალი საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ და არც შინაგანაწესით) და საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნას ექსპერტი/სპეციალისტი, დირექტორს შეუძლია დაესწროს ხმის უფლების გარეშე. საკონსულტაციო საბჭოს ირჩევს მშობელთა საერთო კრება 1 წლის ვადით და ამ ვადის ერთხელ განახლების უფლებით. საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები ხმათა უმრავლესობით 2 წლის ვადით. საბჭოს შეხვედრებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებით N03/032; 09.09.2025 წ. „ქ. თბილისის N101

საბავშვო ბაგა-ბაღში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნითა და შეხვედრის ოქმით (N2; 09.09.2025 წ.), სადაც დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებულ იქნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის ბრძანებაში გამოკვეთოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის/ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის მუშაობას;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს პოზიცია - აღმზრდელი-პედაგოგი მოიყვანოს ორგანოგრამასთან, საშტატოს ნუსხასთან, და შინაგანაწესით გათვალისწინებულ პოზიციასთან შესაბამისობაში (ჩაანაცვლოს პოზიციით - „აღმზრდელი“);
- ✓ დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის ბრძანებით განსაზღვროს ჯგუფის წევრთა მიერ შესასრულებელი სამუშაოები;
- ✓ დაწესებულებამ საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვროს იმგვარად, როგორც ეს მითითებულია წესდებაში - 2 აღმზრდელი და 5 მშობელი, ნაცვლად დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (№03/002 ა - 13.09.012025წ.) განსაზღვრული 1 საქმისმწარმოებელი, ლოგოპედი, 5 მშობელი).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისა მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მასში მოცემულია მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, ჩამოთვლილია განხორციელების ვადების/წლების მიხედვით, გათვალისწინებულია შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/სამსახური, საჭირო

რესურსები. სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 4 თვით ადრე, ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი ან გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში.

სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N03/034; 05.09.2025 წ.); რომელშიც 4 სტრატეგიული მიზანია განსაზღვრული. შესრულების ვადა გათვლილია 2025-2029 წწ. პერიოდზე.

დოკუმენტი პირდაპირაა დაკავშირებული დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან, რაც აშკარად აისახება როგორც სტრატეგიულ მიზნებში, ასევე, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებში. დაწესებულების სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია 4 მიზანი, კერძოდ: გეგმის მიხედვით სტრატეგიული მიზანია: N1 - შევქმნათ კურიკულუმის შესაბამისის ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული ბუნებრივი და მრავალფეროვანი გარემო; N2 - ადამიანური რესურსების მომზადება-გადამზადება და შრომის მოტივაციის ამაღლება; N3 - ბავშვზე ძალადობის პრევენციის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება; N4 - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ღონისძიებებში.

დაწესებულების მიზნები რეალისტური და განხორციელებადია, რომელიც ხელს შეუწყობს დაწესებულებას, შექმნას უნივერსალური გარემო და უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, მოახდინოს ბავშვთა ძალადობის პრევენცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმაზე დატანილი დამტკიცების ბრძანების N03/033; 05.09.2025 წ.; დაზუსტება/კორექტირება - N03/034; 05.09.2025 წ.; (ადგილზე წარმოდგენილ ბრძანებასთან).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ.) შედგენილია ერთწლიანი პერიოდისათვის, („სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ის (მე-11 მუხლი) ჩანაწერის მიხედვით ემთხვევა კალენდარულ წელს, თუმცა თავად 101-ე ბაგა-ბაღის სამოქმედო გეგმაზე მითითებული განხორციელების პერიოდი (თვეები) გათვლილია სასწავლო თვეებზე, შესაბამისად ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანებით (N03/035; 08.09. 2025 წ.) სამოქმედო გეგმა შემუშავებულ იქნა დირექტორის ბრძანებით (N03/032; 09.09.2025 წ.) დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ, სადაც მოცემულია წევრთა რაოდენობა. ბრძანებაში არ არის მითითებული თავმჯდომარისა და ჯგუფის წევრების ვალდებულებები/დავალბებები და პასუხისმგებლობები. სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზანს, ამოცანას, აქტივობას, ინდიკატორს, მტკიცებულებას, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირს, ადამიანურ რესურსს, დაფინანსების წყაროს და მატერიალურ რესურსს.

სამოქმედო გეგმის მიზანია -კურიკულუმის შესაბამისი ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული ბუნებრივი და მრავალფეროვანი გარემოს შექმნა, ადამიანური რესურის მომზადება-გადამზადება და შრომის მოტივაციის ამაღლება, ბავშვზე ძალადობის პრევენციის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში, ღონისძიებაში. დაწესებულების სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების ეფექტურად განხორციელებას. ვინაიდან დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის პროცესშია, დაწესებულებას ყოველწლიური თვითშეფასების კითხვარი შევსებული არ აქვს.

ამგვარად:

- ✓ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია დირექტორის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ბრძანება (N03/032; 09.09.2025 წ.),„სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ✓ სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით - N03/035; 08.09. 2025 წ.;
- ✓ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და გათვლილია ერთი სასწავლო წლის პერიოდისათვის;
- ✓ სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს ბრძანებით (N03/032; 09.09.2025 წ.) დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის წევრების ვალდებულებების/დავალბების და პასუხისმგებლობების გაწერა;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის ფორმატზე მითითებული განხორციელების პერიოდი (რომელიც გათვლილია სასწავლო თვეებზე) და „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ის მე-11 მუხლის („სამოქმედო გეგმა ემთხვევა კალენდარულ წელს“) ჩანაწერი მოიყვანოს შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ და წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის გზას. გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის უფლებამოსილი პირის, დირექტორის ბრძანებით - N03/035; 08.09. 2025 წ. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია - 4 სტრატეგიული მიზანი: 1. შევქმნათ კურიკულუმის შესაბამისი ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული ბუნებრივი და მრავალფეროვანი გარემო; 2. ადამიანური რესურსი მომზადება-გადამზადება და შრომის მოტივაციის ამაღლება; 3. ბავშვზე ძალადობის პრევენციის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება; 4. მშობლის/კანონიერი სარმომადგენლის ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში, ღონისძიებაში. სამოქმედო გეგმა ჩაშლილია ამოცანების, აქტივობების, ინდიკატორების, მტკიცებულებების, შესრულების პერიოდის/ვადების, პასუხისმგებელი ერთეულის/პირის, ადამიანური რესურსების, დაფინანსების წყაროების, მატერიალური რესურსების, შესრულების სტატუსის და გეგმაში დათმობილია ველი შესრულების მოკლე აღწერისთვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა წესდება (N161/02.2025; 08.01.2025 წ.; მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც, კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია დირექტორი გამოსცეს ბრძანებები.

- ✓ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები;
- ✓ აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს;
- ✓ გაწერილია აქტივობების შესრულების თვისებრივად გაზომვადი ინდიკატორები;
- ✓ გაწერილია აქტივობების შესრულების ვადები და ეს ვადები რეალისტურია;
- ✓ გაწერილია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები;
- ✓ გაწერილია აქტივობების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა უზრუნველყოფა რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანებით (N03/033; 04.09.2025 წ.) დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის

და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმებას, გამოწვევების გამოვლენას და რეკომენდაციების შემუშავებას. დოკუმენტი ადგენს მონიტორინგის და შეფასების პროცესის არსს, პროცესის განხორციელების პერიოდულობას, სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუა საანგარიშო პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს (დასრულებამდე არაუგვიანეს 4 თვისა).

სამოქმედო გეგმის შემთხვევაში მონიტორინგი ხორციელდება ექვს თვეში ერთხელ - სამოქმედო გეგმის შუა და დასასრულ პერიოდში, სამოქმედო გეგმის შეფასება განხორციელდება წლიურად („სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, მე-13 მუხლი, პ. მე-4).

სტრატეგიული გეგმის საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით შეგროვებული მონაცემების/ანალიზების გამოყენებით, განსაზღვროს შემდგომი საჭიროებები. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისათვის საბავშვო ბაგა-ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს, კერძოდ: „საანგარიშო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით“, სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით. სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2.5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედო გეგმის შემთხვევაში კვარტალურად. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან ხდება წერილობითი ანგარიშების წარდგენა მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, შესაბამისი მტკიცებულებებით. დაწესებულებას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განხორციელოს დადგენილი მექანიზმების შესაბამისად.

დაწესებულებას სტრატეგიული გეგმის ანგარიშის წარმოდგენა უწევს 2027 წლისათვის, ხოლო სამოქმედო გეგმის, რომელიც ჩანაწერის მიხედვით, კვარტალურად ხდება, დაწესებულებას არ წარმოუდგენია, ვინაიდან პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია.

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში აქტივობების შესრულებისთვის განისაზღვრა ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი ერთეულები.

ამგვარად:

- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5) და ბოლოს;

- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის შეფასება ხორციელდება ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5) და ბოლოს არაუგვიანეს 6 თვისა;
- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება 6 თვეში ერთხელ, არაუგვიანეს 6 თვისა;
- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება წლიურად („სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, მუხლი მე-13. პუნქტი მე- 4).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესის“ (მუხლი მე-14) შესაბამისად, სამოქმედო გეგმის წერილობითი ანგარიშის წარდგენის ვადების დაცვა;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესის“ მე-15 მუხლში ნუმერაციის კორექტირება (მე-15 მუხლი იწყება „8“-ით, ნაცვლა 1-სა);
- ✓ დაწესებულებამ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს მე-14 მუხლი და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის (მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი: - „დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ექვს თვეში ერთხელ, ხოლო შეფასებას წლიურად“, მე-14 მუხლი: - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისათვის ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს, სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2.5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედო გეგმის შემთხვევაში კვარტლურად, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფი ამუშავებს წარმოდგენილ ინფორმაციას და ამზადებს ერთიანი ანგარიშის დოკუმენტს...) ჩანაწერები მოიყვანოს შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანებით (N03/033; 04.09.2025 წ.) დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“-ს თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები თავს იყრის ანგარიშში - სამოქმედო გეგმის საანგარიშო წლის ბოლოს და სტრატეგიული გეგმის 2.5 წლის ბოლოს, რომელიც ფორმდება ანგარიშის სახით.

სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით. დაწესებულება უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი საკითხებიც, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებში. საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენება საკომუნიკაციო არხები, კერძოდ: სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები) და დოკუმენტის განთავსება საბავშვო ბაგა-ბაღის საინფორმაციო დაფაზე („სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, მე-6 მუხლი).

მიმდინარე ეტაპზე, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმების შესრულების შედეგები ჯერ არ არის აღრიცხული, დაწესებულება მოკლებულია შესაძლებელობას დაადასტუროს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შედეგების/ანალიზის საჯაროდ ხელმისაწვდომობა და შემდგომი განვითარებისათვის გამოყენება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ განსაზღვროს ბრძანებაში კონკრეტული პირი/ერთეული, ვინც თავს მოუყრის ანალიზს, შემდგომში ანგარიშის სრულყოფილად მომზადებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების დირექტორის ბრძანება (№03/033; 04.09.2025 წ.) „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ“;
2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
3. სტრატეგიული გეგმა;
4. დირექტორის ბრძანება სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ N03/034; 05.09. 2025 წ.;
5. დირექტორის ბრძანება სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ N03/035; 08.09. 2025 წ.;
6. „საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისის საბავშვო ზაგა-ზაღების სააგენტოს განკარგულება №25.2418.2699 08.01.2025 წ.
7. დირექტორის ბრძანება (N03/032; 09 სექტემბერი, 2025 წ.) „სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
8. ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის ოქმი N2; 09 სექტემბერი, 2025 წ. თანდართული ფოტო-მასალით;
9. სამუშაო ჯგუფის ოქმი N3; 15.09.2025 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანამშრომლებთან გაზიარების შესახებ;
10. დაწესებულების წესდება;
11. ინტერვიუება.

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2. კურიკულუმი³

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 3 სექტემბრის N09/44 ოფიციალური წერილი, რომლის საფუძველზეც ა(ა)ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს აცნობა, რომ ა(ა)იპ ქ.თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღი კარგად იცნობს კურიკულუმებს :ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში 2-დან -5 წლამდე“ და სასკოლო მზაობის „თამაშის პროგრამას“.

დაწესებულებაში დასაქმებული ყველა აღზრდელი გადამზადებულია (HEARTS)

პროგრამით „ხელოვნების მეშვეობით განკურნება და განათლება“, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში თანამედროვე, ბავშვზე ორიენტირებული და ხელოვნებაზე დაფუძნებული მიდგომების ეფექტიან გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან დაწესებულება ითხოვს შესაბამის მხარდაჭერას, რათა აღნიშნული კურიკულუმების საფუძველზე შემუშავდეს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო.

ა(ა) იპ ქ, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ოფიციალური წერილით უზავნის დაწესებულებას კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტს „ თამაში ემოციური კეთილდღეობისათვის“.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 8 სექტემბრის ა(ა)იპ ქ.თბილისის N 101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის N03/038 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომლის მიხედვით კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის, ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობის, კურიკულუმების შერჩევის და დამტკიცების ეტაპებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები:

2025 წლის 8 სექტემბრის ა.(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის N03/037 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. კურიკულუმის შერჩევის მიზნით სამუშაო შეხვედრის

ოქმი N5. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნა ა(ა) იპ ქ. თბილისის N 101 საბავშვო ბა-ბალის დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის ბრძანება N03/040 კურიკულუმის ჩარჩოს „ემოციური კეთილდღეობისათვის დამტკიცების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისათვის,“ რითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

2025 წლის 11 სექტემბრის ა(ა)იპ ქ.თბილისის N101 ბაგა-ბალის დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N 03/038 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის ჩარო,, თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის ” წარმოადგენს 3 დოკუმენტის ნაერთს. ჩარჩოში კომბინირებულია ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისთვის და ხელოვნების მეშვეობით გაჯანსაღებისა და განათლების (HEART) პროგრამა. შესაბამისად ის მოიცავს 2 წლიდან ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე ბავშვის გადასვლამდე პერიოდს და ფარავს, როგორც სკოლამდელი, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამებს.

- ✓ **ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში** - წარმოადგენს 2 წლიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი გარემოს შექმნისა და ორგანიზების გზამკვლევეს, რომელიც ეხმარება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს წარმართონ ბავშვზე ორიენტირებული პროცესი მათი ჰოლისტური განვითარებისთვის.
- ✓ **სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისთვის** - შემუშავებულია 5 წლიდან სკოლაში შესვლამდე ასაკის ბავშვებისთვის და უზრუნველყოფს მათ ფიზიკურ, ემოციურ და კოგნიტურ მომზადებას სასკოლო ცხოვრებისთვის.

- ✓ ხელოვნების მეშვეობით გაჯანსაღებისა და განათლების (HEART) პროგრამა - წარმოადგენს ხელოვნებაზე დაფუძნებულ მიდგომას, ვინაიდან ხელოვნება წარმოადგენს ბავშვებისთვის თამაშის ერთგვარ ფორმებს, ხოლო თამაში ბავშვების გამომხატველი ბუნებრივი ენაა. ხელოვნების მეშვეობით პროგრამა განათლების და განკურნების კომპონენტებს მოიცავს, რაც ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის წინაპირობაა.

საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი გრძელვადიანი დროითი ჩარჩო ეფუძნება კურიკულუმს თამაში და სასკოლო მზაობის პროგრამას თამაში HEART პროგრამიდან ძირითად დროით ჩარჩოში ინტეგრირების რეკომენდებული დრო და სიხშირე:

აქტივობის კატეგორია	საჭირო რეკომენდებული დრო	რეკომენდებული სიხშირე
სარელაქსაციო	5-10 წუთი	ყოველდღიურად
სტრუქტურირებული	1 საათი	კვირაში ერთხელ
თავისუფალი ხელოვნება	45 წუთი	კვირაში ერთხელ ან მეტჯერ

კომბინირებული კურიკულუმი მიმართულია ბავშვის ჰოლისტური განვითარებისკენ, რაც აისახება მიზნებსა და განხორციელების სტრატეგიებში.

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისათვის“ დოკუმენტში ასახულია ძირითადი აქცენტები და მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელიც სამი კურიკულუმიდან არის ამოკრეფილი. კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისათვის“ მიზანია უზრუნველყოს ბავშვების ჰოლისტური განვითარება, სკოლისათვის მზაობა და ემოციური კეთილდღეობა, განსაკუთრებული ფოკუსით ჯგუფის ერთობაზე, კვლევა-აღმოჩენასა და ხელოვნებაზე. ამ მიზნის მისაღწევად შერჩეული და დაგეგმილი პრაქტიკა სთავაზობს ბავშვებს მრავალფეროვან თამაშებს, აქტივობებს, გამოწვევებს, ემოციურად უსაფრთხო გარემოს და სხვა სტრატეგიებს, რომლებიც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ მრავალმხრივ, გაუმკლავდნენ სტრესს და იგრძნონ თავი ემოციურად კარგად. კურიკულუმი ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისათვის“ ხელს უწყობს სააღმზრდელო- საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ოჯახებსა და თემთან აქტიურ თანამშრომლობას, როგორც ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს. კურიკულუმის ჩარჩო არის ბავშვების კეთილდღეობის გარანტი, აძლევს ბავშვს არჩევანის თავისუფლებას და საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების საშუალებას და მეორე მხრივ კურიკულუმის ჩარჩო არის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევის საშუალება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ელოციური კეთილდღეობისთვის“ ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: თამაში როგორც საგანმათლებლო პროცესის ძირითადი სტრატეგია, თამაში აღიარებს სწავლისა და განვითარების ინტეგრირებულ პროცესად, თამაშის პროცესში ენის, კომუნიკაციის სოციალური უნარების კვლევითი გამოცდილებების შექმნა, შემეცნებითი უნდარების გაღრმავება ფანტაზიის განვითარება. კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით ბავშვს დღის განმავლობაში აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში - როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად, როგორც შენობაში ისე გარე სივრცეში. თამაშის ელემენტები წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითად მექანიზმს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო ბავშვს, საგანმანათლებლო პროცესში მოიაზრებს სწავლისა და განვითარების ცენტრში. აღმზრდელი წარმოადგენს მხარდამჭერ უფროს, რომელიც მიყვება ბავშვის ინტერესებს. ბავშვი პროცესის თანაავტორია. ბავშვს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად აღმოაჩინოს, შეისწავლოს და განვითაროს ცოდნა და უნარები. ინიციატივის გამოხატვა და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, ბავშვის სოციალურ ინტერაქციაში ჩართულობას, შემოქმედებითი აზროვნების, კითხვების და ჰიპოთეზების წახალიჩებას სწავლის პროცესში თვითგამოხატვის მრავალ ფორმას და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“ საგანმანათლებლო პროცეს განიხილავს, როგორც თანამშრომლობაზე დაფუძნებულ, უწყვეტ ორმხრივ პასუხისმგებლობას, სადაც დაწესებულება ოჯახი და თემი ქმნიან ერთიან საგანმანათლებლო პროცესს. რაც ვლინდება:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში ოჯახის ჩართულობის გათვალისწინებით;
- ✓ თემის წარმომადგენლების პროექტებში და თამაშების სცენარში ჩართულობით;
- ✓ მშობლებთან რეგულარული შეხვედრებით სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ კვირის თემატურ გეგმებში ოჯახური და თემის გამოცდილების ინტეგრაციით;
- ✓ მშობლებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციებითა და თანამშრომლობის ფორმების დეტალური აღწერით;
- ✓ ხელშემწყობი ღონისძიებები მშობლის განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის ხელშემწყობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის” მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება ბავშვის მიერ აზრის გამოთქმის, საუბრის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების თამაშებით, დაკვირვების, დათვალიერების, კვლევის, ექსპერიმენტირების, გამოგონების, შექმნის, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობაში. ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება ასაკობრივად შესაფერისი ეფექტური გამოცდილებებით კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის. ითვალისწინებს თითოეული ბავშვის გაცნობას, მათზე თანმიმდევრულ დაკვირვებას ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებების გამოსავლენად, რის საფუძველზეც ხდება პროცესის ინდივიდუალიზაცია და საგანმანათლებლო პრაქტიკის შესაბამისი დაგეგმვა, რათა საგანმანათლებლო პროცესი ასაკთან ერთად ბავშვების ინდივიდუალური განვითარების დონის შესაბამისი იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის ჩარჩო „ ემოციური კეთილდღეობისთვის” გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება 2025 წლის 12 სექტემბრის ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომელთა სამუშაო

შეხვედრის N8 ოქმით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2025 წლის 8 სექტემბრის ა(ა) იპ ქ.თბილისის N 101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის N03/038 ბრძანებით შექმნილი „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი“, სადაც კურიკულუმის გაზიარების დაინტერესებული მხარეებია მშობლები და დაწესებულების პერსონალი. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის „ადრეული განათლების კურიკულუმი და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ გაზიარება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან დასტურდება ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N03/047 შემუშავებული „საკუმუნიაკაციო გეგმის შედგენის წესის საფუძველზე დამტკიცებული 2025-2026 წლის საკომუნიაკაციო გეგმაში მესამე აქტივობად განსაზღვრული ჩანაწერთ-სექტემბრის თვეში მშობლებისთვის შერჩეული კურიკულუმის გაცნობის შესახებ. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კურიკულუმის გაცნობა-გაზიარების ოქმი N9.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.2025 წლის 3 სექტემბრის N09/44 ოფიციალური წერილი ა(ა) ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის;
- 2.2025 წლის 8 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/038 „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“-ს შესახებ;
- 3.2025 წლის 8 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/037; კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი პირების ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. კურიკულუმის შერჩევის მიზნით სამუშაო შეხვედრის ოქმი N5;
5. 2025 წლის 11 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/040 კურიკულუმის ჩარჩო „ თამაში ემოციური კეთილდგეობისთვის“ დამტკიცების შესახებ;

6. 2025 წლის 12 სექტემბრის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომელთა სამუშაო შეხვედრის ოქმი N8;
 7. 2025 წლის 12 სექტემბრის მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენელთან კურიკულუმის გაცნობა-გაზიარება-ოქმი N9.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის” რომელიც მოიცავს მასში შემავალ კურიკულუმებს: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ჯგუფებისთვის ნაწილიპირველი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში-პრაქტიკული სახელმძღვანელო /სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობა და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: მოკლევადიანი გეგმა, რომელიც ყოველკვირეულად დგება, რეკომენდებულია რძელვადიანი გეგმა შეადგინოს წლიურად,კვარტლურად ან წელიწადში ორჯერ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის , შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი”, რომლის მე-3 მუხლის მიხედვით დაწესებულებამ შეიმუშავა მოკლევადიანი(ყოველკვირეული) და გრძელვადიანი(წლიური) გეგმები. შინაარსის ასპექტებით შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის ჩარჩოს მოთხოვნებს. შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა) იპ ქ.თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის N03/044 ბრძანებით. დამტკიცებული გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ჩარჩო დოკუმენტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ჩარჩოს „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“ შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. დაწესებულებას დარეგულირებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით დამტკიცებული ა (ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით.ამ წესის მუხლი მე-3 არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, წესის მიხედვით დამტკიცებულია ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა ბაღის დირექტორის ბრძანება N03/041 კურიკულუმის გრძელვადიან გეგმაზე სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექტორი; საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი: ფსიქოლოგი; სპეციალური პედაგოგი, ლოგოპედი, 3 აღმზრდელი 3 აღმზრდელის თანაშემწე. მოკლევადიანი გეგმა იქმნება საბავშვო ბაგა-ბაღის თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშვალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის ზოდად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში გეგმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია. დაწესებულებაში გამოყოფილია სივრცე საგანმანათლებლო პერსონალის ერთობლივი მუშაობისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ა(ა)იპ ქ თბილისის N101 ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის №03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია;

- ✓ დღის განრიგი;
- ✓ აღმზრდელი პორტფოლიო;
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- ✓ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;
- ✓ ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
- ✓ ბავშვის ნამუშევრები.

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დღის განრიგით, რომელიც ჯგუფში მიმდინარე პროცესებს აღწერს თანმიმდევრულად, საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის და ისე არის აწყობილი, რომ იძლევა ცვლილებების საშუალებას. დღის განრიგი ბავშვებს ეხმარება, რომ მათ დაცულად იგრძნონ თავი და საგანმანათლებლო პერსონალს უწყობს ხელს უკეთესად დაგეგმონ დღე, სწორად გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის; აღმზრდელის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს. 2025 წლის 15 სექტემბრის „ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის გრძელვადიანი დამოკლევადიანი გეგმების დამტკიცების ბრძანება N03/044. მოკლევადიან კვირის გეგმის ფორმაში

არსებული კვირის ანალიზის გრაფაში მიმდინარე კვირის დასრულების შემდეგ აღმზრდელის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით/გაანალიზებით, რითიც შესაბამისად გამოიკვეთება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ დღის განრიგი;
- ✓ აღმზრდელის პორტფოლიო;
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ✓ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.

ამავე წესის საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებები:

- ✓ აღმზრდელის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს.
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

- ✓ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოების საშუალებით, რომლებიც დაწესებულებაში იწარმოება ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალური მატერიალური ფორმით და მოიცავს:
- ✓ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს,
- ✓ ბავშვის შეფასების ჩანაწერებს;
- ✓ ბავშვის ნამუშევრებს.

2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა)იპ ქ. თბილისის N101საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანებით N03/044 დამტკიცებული გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმების მოკლევადიან კვირის გეგმებში არსებული ინდივიდუალიზაციის გაწერით, კერძოდ ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემული ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საინტერესო და სახალისო თამაში საკვანძოა ამ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროცესში. თამაში მაშინ არის ჰოლისტური განვითარებისა და ემოციური კეთილდღეობის წინაპირობაა თუ ბავშვი საკუთარი თავისუფალი არჩევანით, შინაგანი მოტივაციით ერთვება. ასევე თამაში უნდა იწვევდეს დადებით ემოციებს - ბავშვებს სიამოვნებთ თამაში და ერთობიან. მოცემული მიდგომისთვის თავად თამაშის პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი. თამაში საშუალებას აძლევს ბავშვს, არარეალურ, თამაშის

სამყაროში გადაინაცვლოს, თამაშის დროს ბავშვები იყენებენ თავიანთ კრეატიულობას და ხდება მათი ფანტაზიის, ფიზიკური, შემეცნებითი, ემოციური და სხვა უნარების განვითარება. საგანმანათლებლო პროცესში ბავშვებს საშუალება აქვთ ჩაერთონ შემდეგი ტიპის თამაშებში: დრამატული, წარმოსახვითი და როლური თამაშები, კვლევითი თამაშები, სამაგიდო თამაშები, მოძრავი თამაშები, მანიპულაციური თამაშები, კონსტრუქციული თამაშები: ვიზუალური დათვალიერების შედეგად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც ვლინდება ჯგუფის სივრცეებად მოწყობაში. აღმზრდელს აქვს საშუალება ჩართოს სხვადასხვა ტიპის თამაშში. დიდი ტრანზიციის ხელსეწყობის მიზნით ასაკობრივ ჯგუფებში წარმოდგენილია ბავშვი და სახლი, სადაც ბავშვს აქვს შესაძლებლობა საკუთარი ფოტო გადადოს სახლიდან ბაღში და პირიქით. ასევე დაგეგმილი აქვს დიდი ტრანზიციის ხელშეწყობით აქტივობები და ა.შ. დაწესებულების წარმოდგენილ მოკლევადიან გეგმის ფორმაში გამოყოფილია ტრანზიციების და რუტინებისთვის გრაფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“, დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება. კერძოდ დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი თამაშები, კვლევითი თამაშები, სენსორული თამაშები, სამაგიდო თამაშები, მოძრავი თამაშები, მანიპულაციური თამაშები, კონსტრუქციული თამაშები; თამაშები, რომელიც ბავშვის მიერ არის ინიცირებული, თამაშები, რომელიც უფროსის მიერ არის ინიცირებული; ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს შენობის

შიგნით და გარეთ აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება; დაწესებულებაში ჯგუფები და ეზო მოწყობილია სივრცეებად, რაც იძლევა სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალებას, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად; კერძოდ, დრამატულ სივრცეში-დრამატული და წარმოსახვითი თამაშები; ხელოვნების ცენტრში - შემოქმედებითი თამაშები; მეცნიერების ცენტრი -კვლევითი თამაშები; სენსორული ცენტრი-სენსორული თამაშები; კუბურების ცენტრი-კონსტრუქციული თამაშები და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი ა(ა) იპ ქ.თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- ✓ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ჯგუფების მიხედვით;
- ✓ შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ჯგუფების მიხედვით;
- ✓ შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა ა(ა) ქ. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო/შესყიდვის განხორციელება;
- ✓ შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა;
- ✓ შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფების მიხედვით;

- ✓ ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით წელიწადში ერთხელ).

მექანიზმის მიხედვით დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. ბავშვის ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებისთვის, ასევე კურიკულუმით დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის, ამ მუხლით მექანიზმებთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისათვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი. დაწესებულებას აღნიშნულ წესში ასევე განსაზღვრული აქვს რესურსების მოძიების შემდეგი ალტერნატიული გზები: მოგროვება, დამზადება (მუხლი მე- 6.).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული და დამტკიცებული აქვს „ადრეული განათლების კურიკულუმი – თამაში“ „სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში“ და ხელოვნების მეშვეობით გაჯანსაღებისა და განათლების (HEART) პროგრამა კურიკულუმების შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა. 2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა) იპ. ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/046 დამტკიცებული. ნუსხა მოიცავს რესურსის/მასალის დასახელებას, ასაკობრივ კატეგორიას, განვითარების სფეროსა და შესაბამის სტანდარტს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსის კურიკულუმთან შინაარსობრივ შესაბამისობას. რესურსი განსაზღვრულია მრავალგვაროვნებისა და მრავალფეროვნების პრინციპით, ბავშვის განვითარების სფეროების სრულფასოვანი მხარდაჭერის მიზნით. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებითა და სასაქონლო ზედნადებებით

დასტურდება, რომ ნუსხით გათვალისწინებული რესურსები აღრიცხულია და ფაქტობრივად ხელმისაწვდომია დაწესებულებაში. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა ხდება მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფილია მისი შესაბამისობა ბავშვთა ადგილების ზღვრულ ოდენობასთან. ამასთან, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, დაწესებულება დამატებით იყენებს რესურსების მოძიების ალტერნატიულ პრაქტიკას (ბუნებრივი და მეორადი მასალის გამოყენება პერსონალისა და მშობლების ჩართულობით), რაც უზრუნველყოფს რესურსების უწყვეტ ხელმისაწვდომობას. აღნიშნულის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული, დოკუმენტურად დამტკიცებული და პრაქტიკაში უზრუნველყოფილი აქვს კურიკულუმთან შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“ განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად:

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება თამაშზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით, სათამაშო ცენტრების არსებობით, ბავშვის ხუთივე სფეროს განვითარების შესაძლებლობით.

დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში განსაზღვრავს რესურსის სახეებს, მაგალითად:

- ა) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს;
- ბ) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
- გ) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.

დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. (მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა); ვიზუალური დათვლიერების შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფის ოთახი დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად, წარმოდგენილია ყველა აუცილებელი სივრცე (დრამატული, ხელოვნება, კვლევის, სენსორული, კუბურები, სამაგიდო, წიგნიერება, განმარტოების, შეხვედრების) სივრცეები/ცენტრები სამი მხრიდანაა გამოყოფილი, კედლები ნეიტრალური ფერისაა, ავეჯი ნეიტრალური ფერის და უმეტესად ხის ფაქტურისა. კედლებზე განთავსებული მასალა ფუნქციურია და ხელს უწყობს ნაწერისადმი/ნაბეჭდისადმი დაინტერესებას (მაგ: დღის ვიზუალური განრიგი, თემასთან ან პროექტთან დაკავშირებული დროებითი ცხრილები) კედლებზე განთავსებული მასალა და ნახატები არ არის ვიზუალურად გადამღლევი. კედლებზე, სივრცეებში განთავსებული მასალა, ბავშვის ნამუშევრები ბავშვის სიმარლეზეა. სივრცეებზე/ცენტრებზე განთავსებულია ვიზუალური მინიშნებებით. კონტეინერებზე მოცემულია ვიზუალური და ტექსტური მინიშნებები, სივრცეებზე/ცენტრებზე განთავსებული, ვიზუალური მინიშნებები ბავშვის სიმარლეზეა. ავეჯი ბავშვის სიმარლისაა, შესაბამისი რესურსები ბავშვის სიმარლეზეა მოთავსებული, ოთახში არის საკმარისი და მრავალფეროვანი მეორადი რესურსი, საგანმანათლებლო რესურსი გარკვეული პრინციპითაა ორგანიზებული (მაგ: ფუნქციურად, კატეგორიების მიხედვით, (HEART) აქტივობების, თემის ან პროექტის, გამოწვევების შესაბამისად) არსებული რესურსი მოთავსებულია კონტეინერში. კონტეინერებში მოთავსებულ რესურსებს აქვს ვიზუალური ან ტექსტური მიმანიშნებლები, ჯგუფში არის სივრცე განმარტოებისთვის. ჯგუფში არ არის მასწავლებლის მაგიდა. ჯგუფში ჯგუფის გარემო მოქნილია, შესაძლებელია ცვლილებების განხორციელება, ჯგუფის მასალა და ავეჯი ბავშვისთვის უსაფრთხოა.

ეზო დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ფუნქციურ სივრცეებად: მოძრავი თამაშების სივრცე, საქვიშე, დრამატული სივრცე, სახელოსნო, ხელოვნების სივრცე. ეზოს სივრცეებში წარმოდგენილია სივრცის შესაბამისი რესურსი და მასალა (სალონში-ფენი, სავარცხელი, საქვიშეში - სხვადასხვა ზომის და ფორმის ჭურჭელი). ეზოში არ არის საფრთხის შემცველი ნივთები ან ავეჯი. დარბაზში არის როგორც სპორტული ინვენტარი, ასევე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის. დაწესებულების ყველა ჯგუფში არის საინფორმაციო დაფა მშობლებისთვის. დაწესებულებას აქვს სივრცე საგანმანათლებლო პერსონალისთვის ე.წ. სამასწავლებლო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“ საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად: ღია რესურსი ჯგუფში – როგორცაა ბუნებრივი და მეორადი რესურსი ; ფიზიკური გარემოს ორგანიზებისთვის რესურსის კონტეინერებში ან სხვა სათავსოებში დახარისხება შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, ბავშვებისთვის გამოსაყენებელი ავეჯი – თაროები/კარადები აუცილებლად ბავშვის სიმაღლის შესაბამისი და ღია/ ხელმისაწვდომი. დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში განსაზღვრავს რესურსის სახეებს , მაგალითად:

- ა) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს.
- ბ) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
- გ) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
- დ) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. (მუხლი მე-5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა); ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში კარადები განთავსებულია ბავშვების სიმაღლის შესაბამისად, არის ღია და ხელმისაწვდომი; ცენტრებში ფუნქციურად არის გადანაწილებული ბუნებრივი და მეორადი რესურსი. მაგალითად: სენსორულ ცენტრში კინეტიკური ქვიშა, ქვიშა, გირჩები, ლობიო, სიმინდი, მაკარონი, კენჭები, სილა, რკო, პლასტელინი, ერთჯერადი ჭიქები და ა.შ; დრამატულ სივრცეში: თოჯინები, მინი სცენა თოჯინების თეატრისთვის, ხილ-ბოსტანი, საკიდი სხვადასხვა ტანსაცმელით, ხელნაკეთი სამზარეულო, გაზქურა, სასწრაფოს მანქანა, სარეცხის მანქანა, ქუდები, ნიღბები,

ხელნაკეთი სახლები, საუთავებელი მაგიდა, ექიმის აქსესუარები, ცხოველები და ა.შ; მეცნიერების ცენტრში: ფოტოები გამოკრული, ლობიო, სიმინდი, ლუპა, სოდა, ძმარი, და ა.შ; კუბურების ცენტრში: მრავალფეროვანი კუბურები, ბოულინგის კედლი, ბურთები და ა.შ; ხელოვნების ცენტრი: ფუნჯები, მაკრატლები, წებო, ფერადი ქაღალდები, ჩხირები, პლასტელინები, გუაშები საძერწი დაფები, ფერადი ფანქრები და ა. შ; წიგნიერების ცენტრში: ილუსტრირებული წიგნები, ვიზუალური ბარათები, ანბანი, ხელნაკეთი სენსორული სახელმძღვანელოები და ა.შ; ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში საგანმანათლებლო რესურსი ასევე იყო კურიკულუმის შესაბამისი, სივრცეებში ფუნქციურად გადანაწილებული, მრავალფეროვანი და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი. დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსს ჰქონდა ვიზუალური მინიშნებები.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაწესებულებაში ოთახების სივრცე მოწყობილია ისე რომ ბავშვებს შეუძლიათ როგორც აქტიურ ისე პასიურ თამაშებში ჩართვა. გარემო დანაწილებულია სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად; (სენსორული, მეცნიერების, დარმატული, ხელოვნების, წიგნიერების, სამაგიდო, კუბურების, შეხვედრების სივრცედ) მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, ჯგუფში გამოყოფილია სივრცეები. მცირე ჯგუფებისთვის ცენტრები, ხოლო დიდი ჯგუფებისთვის საერთო შეხვედრების სივრცე. გარემო იძლევა ცვლილების შესაძლებლობას საჭიროებიდან გამომდინარე. დასვენებისა და განმარტოებისთვის ჯგუფში გამოყოფილია მოსასვენებელი სივრცე, წიგნიერების სივრცე და ძილისათვის საჭირო სივრცე (შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში);

დაწესებულებაში არის სააქტო დარბაზი, წარმოადგენას ფუნქციურ სივრცეს, რომელიც გამოიყენება ფიზიკური აქტივობების, (HEART) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებისა და ხელოვნების მიმართულების საქმიანობის განსახორციელებლად. დაწესებულებას აქვს აგრეთვე რესურს ოთახი, სადაც განთავსებულია „საცოცი კონსტრუქციები, შვედური კედელი, ბურთების აუზი, სხვადასხვა ტექსტურისა და ფორმის სენსორული მასალები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს; კურიკულუმის მიხედვით მნიშვნელოვანია დააკვირდეს ბავშვს, რადგან დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე წარიმართება საგანმანათლებლო პროცესი. დაკვირვების საფუძველზე ხორციელდება მომზადებული ჩანაწერების დოკუმენტირება, კერძოდ: ინდივიდუალური პორტფოლიოს წარმოება-პორტფოლიო ბავშვის გამოცდილებების და ნამუშევრების შეგროვების სისტემაა, რაც მისი განვითარების და სწავლის პროგრესს ასახავს. პორტფოლიო ბავშვის საქმიანობის და თამაშის სხვადასხვა ვიზუალური და აუდიო დოკუმენტებისგან შედგება: ნახატები, სამუშაო ფურცლები, ჩანაწერები, სიმბოლოები, ცხრილები, ფოტოები, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები და სხვა. პორტფოლიო სრულ ინფორმაციას უნდა გვაძლევდეს ბავშვის განვითარების, ძლიერი მხარეების, პიროვნული თვისებების, ინტერესების და განვითარებადი უნარების შესახებ.

რეფლექსიური დღიური-დაკვირვებით მოპოვებული ობიექტური ინფორმაციის ჩაწერა, სუბიექტური შეხედულებები, ვარაუდები და მსჯელობებია, როგორც ცალკეულ ბავშვზე, ასევე, ბავშვების ჯგუფებზე; შეფასებითი პორტფოლიო - აღმზრდელმა პერიოდულობით უნდა გადახედოს ბავშვების პროტფოლიოებს და წელიწადში მინიმუმ ორჯერ მოკლე შეჯამება, შეფასება გააკეთოს მისი მუშაობის შედეგების, ბავშვის პროგრესის და მასთან მომავალი მუშაობის შესახებ. დაწესებულების წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროცესის

დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს. მექანიზმის მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შემდეგ მეთოდებს:

- ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებს;
- ბ) მოკლე კითხვარებს;
- გ) ჩეკლისტებს;
- დ) სკალებს;
- ე) ცხრილებს
- ვ) სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტებს;

დაწესებულებაში მოქმედი წესი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის“ დამტკიცებულია ა(ა) ქ.თბილისის N 101 დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N 03/039. აღნიშნულ ბრძანებას ერთვის შესაბამისი დანართები, რომლებიც წარმოადგენს წესის განუყოფელ ნაწილს და არეგულირებს შეფასების, დაკვირვებისა და განხორციელების პროცედურებს, ასევე განსაზღვრავს გამოყენებულ ფორმებსა და მექანიზმებს.

ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, ფსიქოლოგი, ლოგოპედი) გასაუბრების დროს დადასტურდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის ფლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ა(ა)იპ ქ.თბილისის საბავსო ბაგა-ბაღის 2024 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

- ✓ ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
- ✓ ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;
- ✓ ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ამავე წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით, ხოლო მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

შეფასება ემსახურება:

- ✓ თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას – საგანმანათლებლო პერსონალის მხრიდან უკეთესად გაცნობა ბავშვების ინტერესის სფეროების და საყვარელ საქმიანობების, რაც ისეთი გამოცდილებების დაგეგმვის საშუალებას იძლევა, რომელშიც ბავშვები მეტი ხალისით ჩაერთვებიან;
- ✓ თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას – ბავშვების საჭიროებების ცოდნას, რაც პრაქტიკოსებს ეხმარება საგანმანათლებლო პროცესის იმგვარად დაგეგმვასა და წარმართვაში, რომ მოხდეს ამ საჭიროებების დაკმაყოფილება.
- ✓ თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას – პროგრესის შესახებ ინფორმაციის ფლობას, რაც ყველაზე კარგ წარმოდგენას აძლევს საგანმანათლებლო პერსონალს იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტურია მომსახურება და რამდენად ხდება კურიკულუმის ჩარჩოს თუ სხვა დასახული მიზნების მიღწევა. ბავშვის პროგრესის დასანახად მნიშვნელოვანია არსებობდეს მტკიცებულებები, რომელიც ბავშვის განვითარების შედეგების დროში შედარების საშუალებას იძლევა.

აღმზრდელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის ინტერესების დაფიქსირება და აქტივობებში ჩართვა. მაგალითად: ვის სჭირდება მეტი ემოციური მხარდაჭერა, ვის აქვს ყურადღების კონცენტრაცია, ვის უყვარს შემოქმედებითი საქმიანობა და ა.შ. პროგრესის შეფასება განხორციელდება დაკვირვების საფუძველზე, ჩანაწერებით და შეფასების ფორმებით, რაც მოიცავს განვითარების ყველა სფეროს და ხელს უწყობს ბავშვის შესაძლებლობების სრულფასოვან გამოვლენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. წესის მიხედვით დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია; ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ; ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი წესის მიხედვით შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება „ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-9 მუხლის შესაბამისად ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ:

- ✓ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;
- ✓ ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ აღმზრდელ-პედაგოგს, სწორად აქვს გააზრებული ოჯახის ჩართულობის მნიშვნელობა ბავშვის შეფასების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.2025 წლის 11 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/040.კურიკულუმის ჩარჩოს „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“დამტკიცების შესახებ;
- 2.2025 წლის 13 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/039 „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;

- 3.2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/044. გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმები;
- 4.2025 წლის 12 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა- ბაღის დირექტორის ბრძანება N03/041. კურიკულუმის გრძელვადიან გეგმებზე სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
- 5.2025 წლის 17 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/053. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ;
6. ინტერვიუება.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება, რომლის მიხედვით ეს პროცესი ხორციელდება საქმიანობის სისტემატიური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება:

- ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ძლიერ მხარეებს;
 - ბ) გამოწვევებს, რომლებიც საჭირობენ გაუმჯობესებას;
 - გ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.
- დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს:
- ✓ პროცესის დაგეგმვა;
 - ✓ განხორციელებული აქტივობები;

- ✓ რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა და თამაშების აქტის გამოყოფილი დროის მოცულობა;
- ✓ ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება;
- ✓ გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება);
- ✓ აღმზრდელის სტრატეგიები.

ამავე წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვით რეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე და მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად (წელიწადში ერთხელ) ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი „ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელის წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე. მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად (წელიწადში ორჯერ) გაერთიანების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული შეფასების გუნდის მიერ ანალიზდება და ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება შეფასების გუნდის მიერ მომზადებულ ანგარიშში.

ანალიზის შედეგების შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს, როგორც დოკუმენტების ფორმალური გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილება, ისე შინაარსობრივი აქტივობების შინაარსის, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილება.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა) იპ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა- ბაღის დირექტორის ბრძანება N03/039. ,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;
2. ინტერვიუება.

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/047ა „მშობელთა სკოლის“ დაარსების შესახებ. ასევე წარმოადგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, დამტკიცებული ა(ა) იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N03047 მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს და განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, კერძოდ: მუხლი მე-5 საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა: ა) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისთვის ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღი იყენებს ან წესის დანართი N1-ით განსაზღვრულ ცხრილს. ამავე ცხრილში განისაზღვრება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

ბ) არაგეგმიური აქტივობები ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე და მისი ასახვა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცხრილში არ ხორციელდება. მეთოდოლოგიაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამიზნე აუდიტორია. კერძოდ: მუხლი მე-3-ე სამიზნე აუდიტორიის შერჩევა.

ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღი სამიზნე აუდიტორია იყოფა შიდა და გარე აუდიტორიად; შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პერსონალი, დამხმარე პერსონალი. გარე აუდიტორიას განეკუთვნება: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ადგილობრივი თემის/საზოგადოების წარმომადგენელი, სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, სადაც დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან და ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას. (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის დანართი N1).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღმზრდელი წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. ა(ა) იპ ქ.თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/047ა მშობელთა სკოლის დაარების შესახებ. ამ სკოლის ფარგლებში ხდება მშობლის ჩართულობა კურიკულუმის ფარგლებში. თემის წარმომადგენლების მიწვევა, პროფესიების წარდგენა, საგანმანათლებლო რესურსის მოძიებაში მათი ჩართულობა, მათთან ერთად აქტივობების დაგეგმვა და ა.შ; (აღნიშნული ასევე იკითხება საკომუნიკაციო გეგმაში და მშობელთა სკოლის შეხვედრების ოქმებში . მათ აქვთ შედგენილი მშობლის კითხვარი, რითაც ხდება მიღებული უკუკავშირის ანალიზი. აღმზრდელ-პედაგოგმა ინტერვიუზე ასევე აღნიშნა, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააკეთებს ანალიზს, რა აქტივობებში გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა უფრო აქტიურად და ამის მიხედვით მოიფიქრებს მათი ჩართულობისთვის სხვადასხვა გზებს. თემის ჩართულობისთვის აქტიურად იყენებს თემში არსებულ ადამიანურ რესურსს, მოიწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ასევე განახორციელებს ვიზიტს ახლომდებარე დაწესებულებებში. წახალისების მიზნით მათთან ერთად დაგეგმვას სხვადასხვა აქტივობებს; რაც დასტურდება დაწესებულების N101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის სოციალური ფეისბუქ გვერდზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საკომუნიკაციო გეგმის წესაში დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები. შერჩეული მეთოდები არის მრავალფეროვანი მაგალითად:

N101ბაგა-ბაღის ბაღის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:

- ა) პირისპირ შეხვედრები;
- ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით;
- გ) მატერიალური კორესპონდენცია;
- დ) საინფორმაციო დაფები;
- ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
- ვ) სატელეფონო ზარები; 0322 671012
- ზ) ელექტრონული ფოსტა: modebadzekristi@gmail.com
- თ) N101--ე საბავშვო ბაგა-ბაღის სოციალური ფეისბუქ გვერდი:
- ი) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები. ქ.თბილისის N101საბავშვო ბაგა- ბაღი
- კ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;
- ლ) ღია შეხვედრები.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ფლობენ ინფორმაციას საკომუნიკაციო არხების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა თემში გასვლის აქტივობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა) იპ ქ. ტბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/047ა. მშობელთა სკოლის დაარსების შესახებ;
2. ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N 03047 „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“;
3. ინტერვიუება.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა) ქ.თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება 03/047ა. მშობელთა სკოლის დაარსების შესახებ. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს მშობლის ცნონიერების ამაღლებას ბავშვის გავითარების პროცესში ჩართულობის გაზრდის მიზნით.

პირველი შეხვედრის ფარგლებში განხილული თემა:

- ✓ ბავშვის ადაპტაციის პროცესის სპეციპიკა და მისი მხარდაჭერის გზები. ოქმი#1 მეორე შეხვედრის თემები:
- ✓ თამაშის მნიშვნელობის განსაზღვრა ბავშვის განვითარების პროცესში;
- ✓ ბუნებრივი და მეორადი მასალის გამოყენების მნიშვნელობის განსაზღვრა. ოქმი#2.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა-დანართი N1. საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით დაწესებულებას უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას. ბავშვის უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების სპეციფიკის შესახებ, რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით, კერძოდ, საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა თემაზე მათი ცნობიერების ასამაღლებლად როგორცაა ბავშვთა განვითარების ასაკობრივი მახასიათებლების გაცნობა, ბავშვთა უფლებები გაცნობა. აღნიშნულ თემებთან დაგეგმილი აქტივობები დადასტურდა საგანმანათლებლო პერსონალთან, კერძოდ აღმზრდელთან ინტერვიუებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

2025 წლის 8 სექტემბრის ა(ა)იპ ქ. თბილისი N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის N03/039 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-თ დასტურდება ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობა. კერძოდ, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში, ხოლო მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ანხორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახთან ერთად. ამასთან, მე-9 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ: დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვას ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალურად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ჩარჩო „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის“ გულისხმობს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება დაწესებულების მხრიდან თითოეული ბავშვის ოჯახსა და სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე დაგეგმილი და განხორციელებული გასვლითი საქმიანობებით სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებსა (მაგ.: მუზეუმში, ზოოპარკში, ქარხანაში, გალერეაში, თეატრში, სკოლაში, საკონცერტო დარბაზებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ა. შ.) და ბუნებაში (ტყეში, ბოტანიკურ ბაღში, პარკში და ა. შ.)

დაწესებულებამ წარმოადგინა „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის N03/047 ბრძანებით. აღნიშნული წესით განსაზღვრულია საკომუნიკაციო შიდა და გარე აუდიტორია.

აქტივობა N1. საჯაროდ კითხვის დღის აღნიშვნა;

აქტივობა N2. გაზაფხული;

აქტივობა N3 .აღდგომა;

აქტივობა N4 .სკოლის გარემოს გაცნობა.

რაც მტკიცდება დაწესებულების სოციალურ პლათფორმაზე: N101--ე საბავშვო ბაგა-ბაღის სოციალური ფეისბუქ გვერდი.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით - „მშობელთა გამოკითხვა და უკუკავშირის მიღების მექანიზმის გაუმჯობესება, როგორცაა: კითხვარები, წინადადებების ყუთი და ა.შ. დაწესებულება ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების, შეფასებასა და შემდგომ განვითარებას არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი (მუხლი 11. საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება). ოჯახთან და თემთან განხორციელებული აქტივობები საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დაწესებულებაში კი მეთოდოლოგიის მიხედვით, მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება:

- ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს;
- ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას;
- დ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო პერსონალმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ ოჯახთან და თემთან დაგეგმილი აქტივობების შეფასება მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდება და შეფასების შემდეგ საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებს ცვლილებების შეტანას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2025 წლის 15 სექტემბრის ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/047ა.
 მშობელთა სკოლის დაარსების შესახებ.
2. 2025 წლის 8 სექტემბრის ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N03/039. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი”
3. ინტერვიურება;
4. სოციალური პლათფორმა: N101--ე საბავშვო ბაგა-ბაღის ფეისბუქ გვერდი;
5. „მშობელთა სკოლის” შეხვედრის ოქმი #1;
6. „მშობელთა სკოლის” შეხვედრის ოქმი #2

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი პირადი საქმეებით, სამტატო ნუსხით („სამტატოს ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორის ბრძანება - N03/071; 24.10.2025 წ.), ბრძანების სფუძველია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკ. N25.1777.1972; 23/ოქტომბერი/2025 წ. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია თანამშრომელთა პოზიციის ჩამონათვალი და რაოდენობა. დაწესებულების დირექტორის მიერ ეწარმოდგენილი თანამშრომელთა სიით დადგინდა, რომ ა(ა)იპ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღში დასაქმებულია 98 პირი, ხოლო სამტატო ნუსხის თანახმად გათვალისწინებულია 89 პირი. დასაქმებულთა პოზიციები შემდეგნაირია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი - სამტატო ნუსხით 1 და წარმოდგენილი სიის მიხედვით 2, ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი, საქმის მწარმოებელი - სამტატო ნუსხით 1 და წარმოდგენილი სიის მიხედვით 2, ბუღალტერი, ფსიქოლოგი - სამტატო ნუსხით 1 და წარმოდგენილი სიის მიხედვით 2, აღმზრდელი - 20, აღმზრდელის თანაშემწე - სამტატო ნუსხით 27 და წარმოდგენილი სიის მიხედვით 31, მუსიკის პედაგოგი - სამტატო ნუსხით 2 და წარმოდგენილი სიის მიხედვით 3, მზარეული, მზარეულის დამხმარე, დამლაგებელი - სამტატო ნუსხით 6 და წარმოდგენილი სიის მიხედვით 7,

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

მრეცხავი, მუშა - საშტატო ნუსხით 2 და წარმოდგენილი სიის მიხედვით 3, მებაღე, მეეზოვე. ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებისთვის: სპეც. პედაგოგი, ლოგოპედი. დაწესებულებაში, ასევე, გათვალისწინებულია უშტატო/შტატარეშე თანამშრომლებიც, მაგ. ადმინისტრაციის დამხმარე სპეციალისტი და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის დამხმარე. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით არის ცდომილებები, ზოგან მითითებულია მეთოდისტი და თანაშემწე - ეს პოზიცია არ არის ფაქტობრივად თანხვედრაში წარმოდგენილ დოკუმენტებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ და დამტკიცების შესახებ ბრძანება (№03/064; 18.09.2025 წ.), რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. დოკუმენტით განსაზღვრულია თანმიმდევრული სახელმძღვანელო მითითებები ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებაში. დაწესებულებამ წარმოადგა შინაგანაწესი (დირექტორის ბრძანება №03/061; 18.09.2025 წ.), რომელშიც მოცემულია დასაქმების პოზიციები და მითითებულია ფუნქციები.

დაწესებულებას, ორგანოგრამის თანახმად, დაწესებულებას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი, საგანმანათლებლო პერსონალი, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, სპეც. პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მრეცხავი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, მუშა, მებაღე, დარაჯი. შინაგანაწესით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№03/064; 18.09.2025 წ.), ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიცია გაიგივებულია ექთნის პოზიციასთან (ფრჩხილებში მითითებულია ექთანნი) და ლოგოპედი - კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტის პოზიციასთან (ფრჩხილებში მითითებულია კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტი), მებაღის ფუნქციების შესახებ ჩანაწერი არ არის გათვალისწინებული.

„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ში არ იკითხება, დასაქმებულ პირთა ურთიერთჩანაცვლების შესახებ. კერძოდ, ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც საქმიანობის შესრულებას ვერ შეძლებს კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, რათა ხელი არ შეეშალოს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას. აღნიშნულის თაობაზე არც შინაგანაწესით არ არის განსაზღვრული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალი, უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ს დამტკიცების შესახებ ბრძანებაში, ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის/ერთეულის მითითება;
- ✓ დაწესებულებამ, „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ უზრუნველყოს დასაქმებულ პირთა ურთიერთჩანაცვლების საკითხის დარეგულირება, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საქმიანობის შესრულებას ვერ შეძლებს კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, რათა მისი საქმის შეთავსება იყოს მიზნობრივი, რომ პროცესები არ ჩავარდეს და უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირება;
- ✓ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ბრძანებაში (№66.01220324; 01.02. 2022 წ.) გაკეთდეს ჩანაწერი გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ და მოყვანილ იქნას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებასთან (№414 1999 წლის 1 ივლისი, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქმისწარმოების ერთიანი წესები“ თავი I მმართველობითი დოკუმენტების მომზადება კარი მე-2 თავი 1, მუხლი 17. ბრძანება 1. და მუხლი 20. ოქმი) შესაბამისობაში;
- ✓ დაწესებულებამ ლოგოპედის პოზიციის დასახელება ჩანაცვლოს კომუნიკაციისა და მეტყველების თერაპევტის პოზიციით;
- ✓ დაწესებულებამ ორგანოგრამა/სტრუქტურა, სამტატო ნუსხა და შინაგანაწესი მოიყვანოს თანხვედრაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია ორგანოგრამით, რომელიც დალაგებულია იერარქიის მიხედვით, ითვალისწინებს სტრუქტურულ ერთეულებს, დაქვემდებარებას/ანგარიშვალდებულებას, კავშირებს. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია დაწესებულების შინაგანაწესით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№03/061; 18.09.2025). წარმოდგენილი ფუნქციები გამიჯნულია. ფუნქციები და მოვალეობები მორგებულია დასაქმებულ პერსონალზე. დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა ქ.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება (№66.01220324; 01.02. 2022 წ.), რომელშიც ჩაშლილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები.

შინაგანაწესით არ არის გათვალისწინებული ბუღალტრის პოზიცია და ფუნქციები, საქმისმწარმოებლის ფუნქციაში შერწყმულია ბუღალტრის ფუნქციები, ბუღალტრის პოზიცია საერთოდ არაა გათვალისწინებული, ბუღალტრის პოზიცია მოცემულია დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი პერსონალის სიაში.

დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№03/064; 18.09.2025), პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება მათ პირად საქმეში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულების შინაგანაწესში გაითვალისწინოს ბუღალტრის პოზიცია, შესაბამისად, გაიმიჯნოს საქმისმწარმოებლისა და ბუღალტრის უფლება-მოვალეობები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები დადგენილია შინაგანაწესით, დაწესებულება სარგებლობს ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით (ბრძანება (№ბ66.01220324; 01.02. 2022 წ.), რაც ხელს უწყობს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.

შინაგანაწესით არ არის გათვალისწინებული ბუღალტრის პოზიცია და ფუნქციები, საქმიანობის ფუნქციაში შერწყმულია ბუღალტრის ფუნქციები. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით. პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. პირად საქმეში შინაგანაწესის (ბრძანება №03/061; 18.09.2025 წ. I თავი, მე-3 მუხლი, მე-3 პუნქტი) მიხედვით განთავსებულია: განცხადება, ავტობიოგრაფია/CV, შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, შესაბამისი დოკუმენტი განათლებისა და პროფესიული მომზადების შესახებ, პირადობის მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა, ცნობა ტუბერკულოზით დაავადების არ არსებობის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის არ ქონის შესახებ, 2 ფოტო 3/4; ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ; ცნობა სამზარეულოს პერსონალისათვის ნაწლავთა ინფექციების ბაცილა მატარებლობაზე. ხოლო „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“ (ბრძანება №21/02.2025-1; 15.09.2025 წ.) პირად საქმეში განსათავსებული დოკუმენტების ჩამონათვალი განსაზღვრულია IV თავის მე-16 მუხლით, კერძოდ - რეზიუმე, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 3/მ ასლი, ცნობები/სერთიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტი, შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულებების ასლები, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები/სერთიფიკატები. დაწესებულებაში პირად საქმეში შენახული დოკუმენტაცია დაცულია არასანქცირებული წვდომისაგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანაწესისა და „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ პირად საქმეში განსათავსებული დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ არის თანხვედრა. მიუხედავად არსებული სხვაობისა, პირადი საქმეები მოწესრიგებულია.

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს მთავრობის დადგენილებას (№478; 27.10.2017). ამ ეტაპისთვის შერჩეულ პერსონალს აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანოგრამის და შინაგანწესის შესაბამისობაში მოყვანა, დააზუსტოს და გამიჯნოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნების (ბრძანება (№ბ66.01220324; 01.02. 2022 წ.) გათვალისწინებით;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესით და „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი“-თ განსაზღვრული პირად საქმეში გასათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალის თანხვედრა;
- ✓ დაწესებულებამ, ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებში (ბრძანება (№ბ66.01220324; 01.02. 2022 წ.), საკანონმდებლო საქმისმწარმოებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნის ნაწილში დაემატოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (№414 1999 წლის 1 ივლისი, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქმისწარმოების ერთიანი წესები“ თავი I მმართველობითი დოკუმენტების მომზადება კარი მე-2 თავი 1, მე-17 მუხლი, ბრძანება 1. და მე-20 მუხლი; ოქმი).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებულ ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს, კერძოდ, 20 აღმზრდელს, აღმზრდელის 2 თანაშემწეს, 1 სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს, ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს - 2 პირს, 1 სპეც. პედაგოგს აქვს სამედიცინო განათლება/პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№03/072; 14.09.2025 წ.). მითითებულ დოკუმენტში გაწერილია ყველა ის საკითხი, რასაც უნდა ითვალისწინებდეს „დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№03/064; 18.09.2025 წ.). დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№03/061; 18.09.2025 წ.). დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებაში დასაქმება ეკრძალება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირს, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა და გაქარწყლებისა. თუმცა, დაწესებულების შინაგანაწესში აღნიშნულის შესახებ ჩანაწერი არ არის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს“ დაურთოს სამუშაო აღწერილობის დანართი და პროფესიული და კარიერული წინსვლის/განვითარების გეგმა;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს კონკურსანტის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი“-სათვის დანართის სახით დართვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება/დრაფტი, რომლის არსებობის აუცილებლობა დასტურდება დაწესებულების დოკუმენტით „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (ბრძანება №03/064; 18.09.2025 წ. თავი IV, მუხლი მე-16). ხელშეკრულებით ჩადებულია ყველა არსებითი პირობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ორგანული კანონით, შრომის კოდექსით, მათ შორის ზეგანაკვეთური სამუშაო.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების დოკუმენტი, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას. დოკუმენტში მიზნობრივადაა ინფორმატიული ჩანაწერი, კერძოდ: აღმზრდელის სახელი, გვარი, ჯგუფის, ცვლის, სამუშაო დროის, არასაკონტაქტო საათების ხანგრძლივობა და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის ჩამონათვალი. არასაკონტაქტო საათი განისაზღვრება სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. გაყოფილი საათის შემთხვევაში, I და II ცვლის აღმზრდელები ასრულებენ არასაკონტაქტო საქმიანობას ნახევარ-ნახევარი საათის მოცულობით.

I ცვლის აღმზრდელის სამუშაო საათებია 09:00-15:00, ხოლო II ცვლის აღმზრდელისა 15:00-18:00 სთ.

სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად თითოეულ აღმზრდელს განსაზღვრული აქვს არასაკონტაქტო სამუშაო დრო - კვირაში 0.5 საათი. კერძოდ: I ცვლა - 14:00-14:30 სთ. II ცვლა - 17:30-18:00 საათი. კვირის განმავლობაში, დაწესებულების სამუშაოდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება.

არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა (დღიური და თემატური გეგმები);
- ✓ ბავშვზე დაკვირვება და შეფასების ჩანაწერების წარმოება;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსებისა და გარემოს მომზადება;
- ✓ პორტფოლიოზე მუშაობა;
- ✓ პროფესიული რეფლექსია და დოკუმენტაციის მოწესრიგება.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ არასაკონტაქტო საათები ემსახურება პედაგოგის პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებას და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესში ჩანაწერის გაკეთება: „შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის შერჩევის პროცედურები განსაზღვრულია უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი“-თ (ბრძანება №03/064; 18.09.2025 წ.), თითოეული თავი ჩაშლილია მუხლობრივად. დოკუმენტში მოცემულია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, ორგანიზება/დაგეგმვის პროცესი, სამუშაო აღწერილობა, დაწესებულების ორგანიზება/დაგეგმვის პროცესი, სამუშაო აღწერილობა (თუმცა, სამუშაო აღწერილობის დანართი არ ახლავს), კადრების მოზიდვა/შერჩევა, ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი - ღია და დახურული კონკურსის წესი და პირობები, ახალი

თანამშრომლის ინტეგრაცია, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება და სხვა პირობები, კომისიის შექმნის წესი, ეტაპები და საქმიანობა.

კადრების შერჩევა ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებით, რომელიც არადისკრიმინაციულია და გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

დაწესებულება, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება დაწესებულების თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე კონკურსის განთავსების ვადები განისაზღვრება ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დოკუმენტში დეტალურადაა ჩაშლილი ინფორმაცია კონკურსის გამოცხადებაზე შეტყობინების შესახებ. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

- ა) დაწესებულების დასახელებას;
- ბ) შესასრულებელ სამუშაოს/ფუნქციებს;
- გ) გამოსაცდელ ვადას (არსებობის შემთხვევაში);
- დ) ვაკანტური ადგილების რაოდენობას;
- ე) საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- ვ) შრომითი ურთიერთობის სახეს და ვადას;
- ზ) განცხადების წარდგენის ვადას;
- თ) კანდიდატების შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს;
- ი) გადაწყვეტილების მიღების ფორმას და ვადებს;
- კ) სხვა ინფორმაციას დაწესებულების გადაწყვეტილებით.

საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა, მათ შორის კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე (სურვილის შემთხვევაში) და მდივანი/სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრება ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებით. კომისიის წევრად, ასევე, შეიძლება განისაზღვროს დამოუკიდებელი - მოწვეული სპეციალისტი.

დოკუმენტის მიხედვით, შესაძლებელია საკონკურსო პირობებში ცვლილების შეტანა. გათვალისწინებულია სააპელაციო კომისის პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ განსაზღვროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, კომისიის წევრებისა და მდივნის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №03/064; 18.09.2025 წ.) განსაზღვრულია ახლად მიღებული თანამშრომლის ინტეგრაცია, რათა დაწესებულების მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა. დაწესებულებას მნიშვნელოვანად მიაჩნია, რომ ახალმა თანამშრომელმა წარმატებით გაიაროს დაწესებულებასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. დაწესებულებას გაწერილი აქვს სამუშაო გარემოსთან ადაპტირება/ინტეგრაციისათვის საჭირო მექანიზმები, თანამშრომლებთან ადაპტაციის სტრატეგიები, კერძოდ:

- ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- გ) ტრენინგების/სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

- ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
- ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
- ზ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;
- თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

დაწესებულება აწარმოებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და მტკიცებულებებს. აღნიშნული მექანიზმები და სტრატეგიები ხელს შეუწყობს ახალ თანამშრომელს დაწესებულებაში არსებული სიტუაციებისა და დამოკიდებულებების უკეთ გაცნობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ გაითვალისწინოს სამუშაო გარემოს გაცნობის ფაქტორიც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ ნათლად ჩანს, რომ ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, ითვალისწინებს საბავშვო ბაგა-ბაღში დასაქმებულ პერსონალს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ერთმანეთისათვის ცოდნისა და გამოცდილების

გაზიარებას, ეს კი დაეხმარება კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაში. დაწესებულებას ორგანიზაციული კულტურის პრინციპები განსაზღვრული აქვს ღირებულებებით. კერძოდ, დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე, რომელიც გამოჩნდა მისია, ხედვა და ღირებულებების ჩამოყალიბების დროს, სამუშაო ჯგუფის შექმნითა და ერთობლივი მუშაობით, თანამშრომლობითი ურთიერთობით. დაწესებულება ორიენტირებულია ხელი შეუწყოს საბავშვო ბაგა-ბაღის პერსონალს ურთიერთგანვითარებაში, დაწესებულების მთავარი მიზანი ბავშვის ინტერესების დაკმაყოფილება და უნარების განვითარებისკენ იქნება მიმართული. რაც კარგად გამოჩნდა ვიზიტის დროს/ინტერვიუებისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის შესახებ საკითხი გათვალისწინებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ (ბრძანება №03/064; 18.09.2025 წ. თავი IV, მუხლი 14 - თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება). დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე, გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ა(ა)იპ ქ. თბილისის N101 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი ხელს უწყობს პერსონალს შიდა და გარე პროფესიულ ღონისძიებებში ჩართვაში. დაწესებულება პერსონალის პროფესიულ განვითარებას მიიჩნევს ისე, როგორც უწყვეტ სისტემურ

პროცესს. თანამშრომლებს მიეწოდებათ ინსტიტუციური მხარდაჭერა - დროის გამოყოფა, რესურსები, ხელმისაწვდომობა, რომლებიც მათ პროფესიულ ზრდას შეუწყობს ხელს.

დაწესებულების დირექცია სტიმულს აძლევს ინიციატივებს, რითაც პერსონალს შეესძლება გააზიარონ უკეთესი პრაქტიკები, განახორციელონ შიდა მენტორობა და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც ზრდის კოლეგიალურ თანამშრომლობასა და პროფესიულ პასუხისმგებლობას.

დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებამ პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოიყენოს მეთოდები:

- ა) ტრენინგი;
- ბ) ქოუჩინგი;
- გ) მენტორინგი;
- დ) პროექტები;
- ე) თვითგანვითარება;
- ვ) კონსტრუქციული უკუკავშირი.

დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია შესაბამისი აქტივობები და საჭირო ფინანსური რესურსი პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულის შესახებ გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაშიც, კერძოდ - სტრატეგიული მიზანი №2-ით ადამიანური რესურსის მომზადება-გადამზადება და შრომის მოტივაციის ამაღლება“ და სამოქმედო გეგმის - უსაფრთხოებისა და კატასტროფის რისკის შემცირების მიმართულებით პერსონალის გადამზადება, ახალბედა კადრების მოტივაციის გაზრდა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა - მიხედვით. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. რაც შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე, ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი ჯოლდოს მიცემა;
- გ) დაწინაურება (საშტატო განრიგით გათვალისწინებული წახალისების ზომების გამოყენების უფლება აქვს ბაგა-ბაღის დირექტორს.

წახალისების ღონისძიებების გამოყენებისას დაწესებულების დირექტორი გადაწყვეტილების მიღების შესახებ გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

დაწესებულება ამ ეტაპზე პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აქედან გამომდინარე პერსონალის შეფასება და საჭიროებათა კვლევა ფორმალური მეთოდით არ განხორციელებულა. თუმცა, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კვლევის მეთოდები: კითხვარი; შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება პროცესზე დაკვირვება და კვლევის ეტაპები - დაგეგმვა; შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება; შედეგების ანალიზი.

შესრულებული სამუშაოს შეფასების შესახებ ნათლადაა ჩამოყალიბებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ (ბრძანება №03/064; 18.09.2025 წ. თავი IV, მუხლი 13 - შესრულებული სამუშაოს შეფასება). დოკუმენტის მიხედვით შეფასების პროცესის მხარეები არიან შესაფასებელი პირი, შემფასებელი პირი და დაწესებულების ხელმძღვანელი. შეფასებას ექვემდებარება 101-ე ბალის ყველა თანამშრომელი, შეფასებას არ ექვემდებარება პირი, რომელსაც 3 თვეზე ნაკლები სამუშაო გამოცდილება აქვს მოცემულ ბაგა-საბაღში. დაწესებულების შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას:

- ა) უნარები;
- ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
- გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
- დ) სამუშაო გარემო;
- ე) კარიერული განვითარება;
- ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
- ზ) აღიარება და მოტივაცია;
- თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
- ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ, პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და

საჭიროებათა მოკვლევის განხორციელებისათვის, გაითვალისწინოს ადამიანური რესურსების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ პერსონალის განვითარება ვერ ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რადგან ამ ეტაპისთვის დაწესებულებას არ აქვს გამოვლენილი პერსონალის საჭიროებების შესაბამისი გეგმა, არ აქვს ჩასატარებული კვლევების საორიენტაციო გეგმა, რადგან დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია.

დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება პერსონალს, დასაქმების შემთხვევაში, სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. კერძოდ: ტრენინგი, ქოუჩინგი, დელეგირება, სამუშაოს გამრავალფეროვნება, თვითგანვითარება, კონსტრუქციული უკუკავშირი.

დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს წარმოადგინილ დოკუმენტებში, კერძოდ - 5 წლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია დაწესებულების საგანმანათლებლო და ტექნიკური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სავარაუდოდ დასასაქმებელ პირთა პირადი საქმეების გაცნობის და ა(ა)იპ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღში ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში 14 აღმზრდელს, 2 საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს, 1 სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს, 1 მეთოდისტს (სავარაუდოდ დირექტორის მოადგილე), ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს (რომელშიც სავარაუდოდ მოიაზრება ექთანი), 1 სპეც. მასწავლებელს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგ-კურსები გავლილი. 66 საათიანი ტრენინგ-მოდული გავლილი აქვს - 14 აღმზრდელს, 1 თანამშრომელს, 1 მეთოდისტს. ასევე, სხვადასხვა ტრენინგ-ცენტრების მიერ ორგანიზებული ტრენინგ-კურსები აღმზრდელსა და აღმზრდელის თანამშრომლებს, კერძოდ: ადრეული ინკლუზიური განათლება (60 კრედიტიანი), HEARTის ტრენინგი, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული, რთული ქცევის მართვის ტრენინგი, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგია და ინკლუზია, მეტყველების დარღვევები, „MAC GEORGIA“, პირველადი სამედიცინო დახმარება, ქცევის მართვა,

აუტიზმისა და სხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობა, სკოლამდელი აღზრდა და განვითარება სექტორის მხარდამჭერი სისტემები და მომსახურებები განსაკუთრებული საჭიროების მქონე და ლტოლვილი ბავშვებისათვის, ძალადობის პრევენცია, უსაფრთხოება; ბილინგვური განათლება, ინკლუზია და ტრანზაცია, თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში, პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“, ენისა და მეტყველების თერაპია (რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი „აისი“ 2018) და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საჭიროებების კვლევა და პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი გეგმის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება აქტივობების ჩამონათვალი პროფესიული განვითარების მიმართულებით, ვადები პასუხისმგებელი პირი/ერთეული და განსაზღვრული იქნება შესრულების ვადები და შემსრულებელთა მიერ განსახორციელებელი საქმიანობები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვს პერსონალის პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს გაითვალისწინებენ, დაწესებულებას პერიოდულად აქვს შემოთავაზება საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებიდან, რომლებიც ჩაუტარებენ სხვადასხვა ტერნინგებს.

დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაცხადებული აქვს, რომ ავტორიზაციის მიღების შემდეგ, ხელს შეუწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ, უზრუნველყოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენა და ინიციატივებისათვის ხელშეწყობა მათი ინტერესებისა და სურვილის/მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული საკითხის შესრულება მითითებულ ვადებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების ორგანოგრამა;
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
3. ბრძანება №03/064; 18.09.2025 წ. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ს დამტკიცების შესახებ;
4. შინაგანაწესი;
5. ქ. თბილისის საბავშვო ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება (№ბ66.01220324; 01.02. 2022 წ.);
5. ბრძანება N03/061; 18.09.2025 წ. შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;
6. პერსონალის პირადი საქმეები;
7. ბრძანება 03/034; 05.09.2025 წ. „სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
8. ბრძანება 03/036; 08.09.2025 წ. „სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

- 9. სტრატეგიული გეგმა;
- 10. სამოქმედო გეგმა;
- 11. „საშტატოს ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბალების დირექტორის ბრძანება - N03/071; 24.10.2025 წ.
- 12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N25.1777.1972; 23/ოქტომბერი/2025 წ.
- 13. ინტერვიუება;
- 14. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.2. პროცესების მართვა
4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
 დაწესებულებას, დირექტორის ბრძანებით N03/066; 19.09.2025 წ. დამტკიცებული აქვს „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“, რომელშიც იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები. დოკუმენტის მიზანია დაწესებულებაში პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განხორციელება, რომელიც დაეფუძნება ხარისხის “PDCA” ციკლს. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის დირექტორის თანაშემწე. დოკუმენტის მიხედვით მმართველობით პროცესებში მოიაზრება სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითადი პროცესები გულისხმობს - კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარებას, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელებას, ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვას, სსსმ ბავშვების მომსახურებას. დამხარე პროცესებია - ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის

მართვა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა, ფინანსური რესურსების მართვა, სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა, ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა.

დირექტორის თანაშემწე პროცესის შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

დაწესებულებას დოკუმენტში „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული აქვს, რომ „დირექტორის თანაშემწე პროცესის შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს...“ დაწესებულების ორგანოგრამით და შინაგანაწესით დირექტორის თანაშემწის პოზიცია არ არის გათვალისწინებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ დოკუმენტში „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში უზრუნველყოს პოზიციის კორექტირება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. მუშაობის აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას მათი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. უწყვეტი გაუმჯობესების სპირალი იძლევა შესაძლებლობას, რომ დაწესებულებაში შენარჩუნდეს მიღწევები და ამავდროულად განისაზღვროს გეგმა სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

P – Plan - დაგეგმე - დაგეგმვის პირველი ეტაპია - ამ ეტაპზე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები და ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.

D – Do - განახორციელე - მეორე ეტაპზე - იწყება დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროცესების შესრულება.

C – Check - შეამოწმე - ხარისხის ციკლის მესამე ეტაპია და გულისხმობს - განხორციელებული პროცესების შედეგების გაანალიზებას, ხარვეზების აღმოჩენასა და წამოჭრილი პრობლემების განხილვას, გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენას. დაწესებულება შეფასების ეტაპზე ახდენს დაწესებულების მიერ წინასწარ დაგეგმილი აქტივობების შესრულების დადგენას. ჩავარდნების შემთხვევაში ანალიზდება, რამ გამოიწვია - დაგეგმვის ან/და ეტაპზე შესრულების ეტაპზე დაშვებული ხარვეზები.

A – გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპი - მეოთხე, რომელიც ასახავს შეფასების შედეგად გამოვლენილ ხარვეზთა აღმოფხვრის გზებს და ხდება რეკომენდაციების შემუშავება. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება მარეგულირებელი დოკუმენტების ან/და შეფასების ინსტრუმენტების განახლება. ხარისხის ციკლის ერთი ფაზის დასრულების შემდეგ, იწყება მეორე ფაზა და ა.შ. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენს ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომლის განუყოფელი ნაწილია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/უკუკავშირი. თითოეული დაყოფილია დაბალ, საშუალო და მაღალ რისკ-ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. დოკუმენტი „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“ ითვალისწინებს შეფასების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ახლავს დანართი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი თითოეული პროცესზე მუშაობის ეტაპები და შინაარსი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი (ბრძანება N03/061; 18.09.2025 წ. შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ), სადაც განსაზღვრულია საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვის მიღების/ჩარიცხვისა და ამორიცხვის, აღსაზრდელის ბაგა-ბაღში მოყვა-გაყვანისა და ვადაზე ადრე გაყვანის წესი.

დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N03/055; 17.09.2025 წ.). დოკუმენტით დეტალურადაა განსაზღვრული: დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპები. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა ეფუძნება:

- ა) კანონიერებას;
- ბ) თანასწორობას და დისკრიმინაციის დაუშვებლობას;
- გ) გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას;
- დ) თემის/რეგიონის საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებას;
- ე) მართვის მოქნილობას და ეფექტიანობას.

დაწესებულებაში ბავშვის რეგისტრაცია ხორციელდება ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემის kids.org.ge მეშვეობით, ხოლო ზოგ შემთხვევაში მატერიალური ფორმით. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მიხედვით, დაწესებულებაში ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები განისაზღვრება ა(ა)იპ ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, რომლის მიხედვითაც დგინდება:

- ა) რეგისტრაციის/ჩარიცხვის გამოცხადება;
- ბ) რეგისტრაციის/ჩარიცხვის ვადა/ვადები;
- გ) დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში/იმავე დაწესებულების სხვა ფილიალში გადაყვანის ვადა/ვადები;
- დ) ამორიცხვის ვადა/ვადები;
- ე) ჩარიცხვის წინაპირობა;
- ვ) რეგისტრაციის რიგითობა და პრიორიტეტული ჯგუფები.

დოკუმენტით დადგენილია ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის განხორციელების ფორმა, ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები, ბავშვების ჩარიცხვის ეტაპები და მათი განხორციელების წესი, ბავშვის გადაყვანის, ამორიცხვის, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესი, სარეზერვო სიები, პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი/ორგანო. დაწესებულებაში ბავშვების ჩარიცხვისათვის დადგენილია ორი ეტაპი: ბავშვების რეგისტრაცია და აქტივაცია; რეგისტრირებული ბავშვების ჩარიცხვა. აღნიშნულთან დაკავშირებით ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მიეწოდება სოციალური ქსელის - Facebook გვერდის საშუალებით. ბავშვის ჩარიცხვა ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დოკუმენტების დაწესებულებაში ფიზიკურად მიტანის გზით.

ბავშვის ამორიცხვა ხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N27-43 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით ბავშვის ამორიცხვა რეგულირდება ამ დოკუმენტის მე-11 მუხლით, ხოლო ბავშვის ამორიცხვის საკითხი გათვალისწინებულია ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მე-7 მუხლით, დოკუმენტის 1 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „დაწესებულებიდან ბავშვის ამორიცხვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესით“. თუმცა წინამდებარე ჩანაწერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N27-43 დადგენილების მე-11 მუხლი არ არის შესაბამისობაში. დაწესებულების „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მე-2 პუნქტის მიხედვით ბავშვის ამორიცხვის საფუძველია:

- ა) ბავშვის გამოუცხადებლობა 1 თვის განმავლობაში არასაკატიო მიზეზით;
- ბ) ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებისთვის ბავშვისათვის 6 წლის ასაკის შესრულება, გარდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „2“ პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;
- გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

დოკუმენტის მიხედვით, ბავშვის გაცდენები ჩაითვლება საპატიოდ, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დაწესებულებისთვის წინასწარ ცნობების საფუძველზე, თუ აღნიშნული განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- ა) ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ბ) ბავშვის მიერ ქვეყნის/საცხოვრებელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დროებით დატოვება;
- გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ შესაბამის სპეციალისტთან კონსულტაციით მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს შინაგანაწესის მე-20, 21-ე და 22-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს დოკუმენტთან;
- ✓ დაწესებულებამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N27-43 დადგენილების მე-11 მუხლი და დაწესებულების „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მე-2 პუნქტი მოიყვანოს შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს დაწესებულების საქმისმწარმოებელს. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მე-10 მუხლში ჩაშლილია საქმისმწარმოებლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვასთან დაკავშირებით. საქმისმწარმოებელი ვალდებულია აწარმოოს ბავშვების დაწესებულებაში ჩარიცხვისა და ამორიცხვის სტატისტიკა, განახორციელოს ამორიცხვის შემთხვევათა ანალიზი, ასევე, მოამზადოს დაწესებულებაში მომდევნო სასწავლო წელს ჩასარიცხი ბავშვების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ჯგუფების მიხედვით, მართოს სარეზერვო სიებიდან ბავშვების ჩარიცხვის პროცედურა და სხვა.

დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად.

ბავშვის საბავშვო ბაგა-ბაღში მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია გათვალისწინებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N27-43 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ დოკუმენტით, რომლის მიხედვითაც მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, ბავშვის ჩარიცხვისათვის უნდა წარადგინოს დაწესებულებაში - „ბავშვის რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო, სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასრულებიდან ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე რეგისტრაციის შემთხვევაში, ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე 10 კალენდარული დღით ადრე. დაინტერესებული პირი ვალდებულია, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში წარადგინოს ბავშვის მიღებისათვის აუცილებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) დაბადების მოწმობის ასლი;
- ბ) ჯანმრთელობის ცნობა;
- გ) ბავშვის 2 ფოტოსურათი 3X4;
- დ) მშობლის/მშობლების პირადობის მოწმობის ასლი;
- ე) საჭიროების შემთხვევაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

ქ. თბილისის 101-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით დამატებით განსაზღვრულია ბავშვის მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია, კერძოდ:

- ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება დაწესებულების დირექტორის სახელზე;
- ბ) ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი;
- გ) სსსმ შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია;
- დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;
- ე) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
- ვ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);

- ზ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- თ) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ.

რაც შეეხება პერსონალის პირადი საქმის წარმოებას, დაწესებულებაში დასაქმებულია 98 პირი, თითოეულ მათგანზე გახსნილია პირადი საქმე. მასში განთავსებული დოკუმენტაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. პირად საქმეში შინაგანაწესის (ბრძანება №03/061; 18.09.2025 წ. I თავი, მე-3 მუხლი, მე-3 პუნქტი) მიხედვით დევს: განცხადება, ავტობიოგრაფია/CV, შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, შესაბამისი დოკუმენტი განათლებისა და პროფესიული მომზადების შესახებ, პირადობის მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა, ცნობა ტუბ დაავადების არ არსებობის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის არ ქონის შესახებ, 2ფოტო 3/4; ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ; ცნობა სამზარეულოს პერსონალისათვის ნაწლავთა ინფექციების ბაცილა მატარებლობაზე. ხოლო „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“ (ბრძანება №21/02.2025-1; 15.09.2025 წ.) პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტების ჩამონათვალი განსაზღვრულია IV თავის მე-16 მუხლით, კერძოდ - რეზიუმე, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პ/მ ასლი, ცნობები/სერთიფიკატები/სხვა დოკუმენტები, შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულებების ასლები, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები/სერთიფიკატები. დაწესებულებაში დაცულია პირად საქმეში შენახული დოკუმენტაცია არასანქცირებული წვდომისაგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანაწესისა და „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ არის თანხვედრა. მიუხედავად ჩამონათვალში არსებული სხვაობისა, პირად საქმეები მოწესრიგებულია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებაში პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი, რომლის წარმოდგენასაც ითხოვს შინაგანაწესი და „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“. დაწესებულება ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს აწარმოებს დადგენილი წესების შესაბამისად. ნიშანდობლივია, რომ პირად საქმეებში განთავსებული ცნობები ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ, სამზარეულოს პერსონალისათვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხის არარსებობის შესახებ, განახლებულებია, თუმცა რაიმე დოკუმენტით არ არის დადგენილი განახლებების ვადები/პერიოდულობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

სასურველია:

